საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 01

03 01 2014წ.

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 1 ივნისის №223 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2011 წლის 1 ივნისის №223 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შინაგანაწესის“ (დანართი №2)

ა) მე-7 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 მუხლი:

„მუხლი 7^1. ცენტრის თანამშრომლის მატერიალური დახმარება

ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ცენტრის თანამშრომელს შვილის შეძენის, აგრეთვე ოჯახის წევრის (დედა, მამა, მეუღლე, და, ძმა, შვილი) გარდაცვალების შემთხვევაში, ერთჯერადად გაეწევა მატერიალური დახმარება (მიეცემა თანხა) 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.“;

ბ) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 8. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი**

1. თუ დასაქმებულის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც იგი ასრულებს სამუშაოს, აღემატება კვირაში 40 საათს, დასაქმებულს ზედმეტად ნამუშევარი თითოეული საათისათვის მიეცემა ხელფასის საათობრივი განაკვეთის 20 (ოცი) პროცენტით გაზრდილი ოდენობა ან დამატებითი დასვენების დრო, რომელიც გამოაკლდება დასაქმებულის მომდევნო 8 საათიან სამუშაო დღეს.

2. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ვალდებულია წერილობით, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, ზეპირი ფორმით მიმართოს ცენტრის დირექტორს და მოითხოვოს მისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა არასამუშაო დროს დასაქმება მათი ვინაობისა და დამატებითი სამუშაო საათების მითითებით.

3. ცენტრის დირექტორის მიერ ცენტრის თანამშრომელთა არასამუშაო დროს დასაქმების შესახებ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ცენტრის დირექტორი გასცემს წერილობით, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, ზეპირ თანხმობას.

4. ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი თავისი თანამშრომლების მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების მოთხოვნით წერილობით მიმართავს ცენტრის დირექტორს. ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ვალდებულია ცენტრის დირექტორს წარუდგინოს შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოს სახის, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი პერიოდისა და მიღებული შედეგის შესახებ მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც ცენტრის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ.

5. არასამუშაო დროს საკუთარი ინიციატივით სამუშაოს შესრულებისას დასაქმებულს კომპენსაცია არ მიეცემა. ეს არ აბრკოლებს ამ პირის მიმართ წახალისების ზომების გამოყენებას.“.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

დირექტორი ელენე ჯიბლაძე